

ჩეჩნური იდენტობის კონსტრუირება (1990-2010) წლებში

მელსი ბაღაკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკური მეცნიერის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ნოდია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

მოცემული კვლევა ეხება ჩეჩნური იდენტობის კონსტრუირების საკითხს. რამდენადაც ნაციონალურ იდენტობას შეუძლია მოახდინოს მნიშვნელოვანი ცვლილებები სოციალურ სტრუქტურასა და სახელმწიფოს ფორმირებაში მიზანშეწონილად მივიცნე ამ მიმართულებით მუშაობა.

საბჭოთა კავშირის კოლაფსმა განაპირობა კავკასიის რეგიონში დამოუკიდებლობის ტალღის გაძლიერება და ერების თვითგამორკვევის პროცესმა ახალი სიმძლავრით იფეთქა. დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფორმირების პროცესმა დღის წესრიგში დააყენა ახალი იდენტობების განსაზღვრის საკითხი. ჩემი კვლევა მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩეჩნური იდენტობის კონსტრუირების ანალიზს . ეს ანალიზი ნაკლებად არის მიმართული იდენტობის კულტურულ და ეთნოგრაფიულ მახასიათებლებზე, არამედ აქცენტი გაკეთებულია ჩეჩნური იდენტობის სოციო-პოლიტიკურ დისკურსზე. ჩეჩნური იდენტობა არ არის სტატიკური, იგი განიცდის მრავალგზის ზეგავლენებს და გადის ევოლუციის პროცესს.

იმისათვის, რომ გადავლახო ჩეჩნური იდენტობის მრავალგვარობის სირთულე გამოვეყოფ ჩეჩნური იდენტობის სამ მიმართულებას: ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა იდენტობა, ისლამისტების , ანუ იმარატ კავკაზის იდენტობა და პრო-რუსული ძალების იდენტობა. სამივე მათგანი ერთმანეთის თანმიმდევრობით ჩამოყალიბდა და დღესაც აგრძელებს თანაარსებობას ჩეჩნურ რეალობაში. თითოეულ მათგანს აქვს ინდივიდუალური ნარატივი, რომელიც დაფუძნებულია ისტორიის მათებრ გაანალიზებაზე. კონსტრუქტივისტული მიდგომის საშუალებით ვახდენ ანალიზს იდენტობის ფორმირების პროცესის და შემდეგ ცალ-ცალკე განვიხილავ იდენტობის განსხვავებულ ნარატივებს. ბოლოს კი ვაანალიზებ თუ როგორ ხდება ისტორია და რელიგია ლეგიტიმაციის და ძალაუფლების მოპოვების პოლიტიკური იარაღი.

მეთოდოლოგია

ქვემოთ მოცემული კვლევის შესრულების პროცესში გავეცანი იდენტობის თეორიულ საკითხებთან და ჩეჩნეთის თემატიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მეცნიერულ ნაშრომებსა თუ პუბლიკაციებს. აგრეთვე ინფორმაციის შეგროვების პროცესში გამოვიყენე ინტერნეტ პუბლიკაციები და განსხვავებული ჩეჩნური იდენტობის მატარებელთა ვებგვერდები, ვიდეოჩანაწერები, ინტერვიუები.

ინფორმაციის შეგროვების შემდგომი ეტაპი იყო მოპოვებული მასალების ანალიზი და დახარისხება. ამ პროცესში ხელი შემიწყო სხვა ნაციონალური იდენტობის თაობაზე შექმნილი ნაშრომების გაცნობამ. ისეთის მაგალითად როგორცაა „ქართველი ერის დაბადება“, Identity changes და ა.შ.

ჩემს მიერ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისა და პირადი გამოცდილების თუ ურთიერთობების საფუძველზე მიღებული ცოდნის გამოყენების შედეგად შევეცადე მომეხდინა ანალიზი ჩეჩნური იდენტობის კონსტრუირების საკითხის.